პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 9 (1645) ხუთშაბათი, 19 იანვარი, 1961 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 3 კაპ.





სურათებზე: სიმაღლეზე მხტომელი გ. ბოხუა, თარჯმბენელი ტ. როუმანოვა და სპრინტერი მ. ჯაყელი ვარჯიშის დროს.

ფოტო პ. კებეჩიანისა.



## სტარტი კიროვში...

კიროვში გრძელდება მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში. მხტომელთა შეჯიბრების წინ კიროვში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მხტომელები ავსტრია-გერმანიის ტურნეს მონაწილენი: კ. წაქაძე, ნ. კამენსკი, ვ. ივანიკოვი, ი. ზუბარევი.

პირველობის მთავარმა პრეტენდენტებმა სტარტი ბოლოს აიღეს, მეტად ლამაზი ნახტომი შეასრულა კ. წაქაძემ, მაგრამ სიშორეში მას ი. ზუბარევმა აჯობა, რომელმაც მოიგო კიდეც პირველი ადგილი. გამარჯვებული გადახტა — 69,5 მ, 73,5 მ და 74,5 მეტრზე.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კ. წაქაძემ განაცხადა, რომ იგი ვერაფრით ვერ შეეგუა კიროვის ტრამპლინს. მთავარი მსაჯის პ. ზახაროვის აზრით კი წაქაძემ პირველი ადგილი ვერ აიღო იმიტომ, რომ არც ერთი საცდელი ნახტომი არ შეუსრულებია შეჯიბრების წინ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა კიროვის მოთხილამურეებმა.

## ...კიზელსა და

აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება რბენაში. ვაჟთა შორის წარმატებით გაიარა 20-კილომეტრიანი დისტანცია მოსკოვის „ტრუდის" წარმომადგენელმა უტრობინმა. იგი ფინიშთან მივიდა 1 საათის, 13 წუთისა და 55,0 წამის შემდეგ. მეორე ადგილზეა ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნ. ანიკინი (მოსკოვი) — 1:14.13;0.

საინტერესოდ ჩატარდა ქალთა შეჯიბრება 8 კილომეტრზე, სადაც გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლენინგრადელმა მ. გუსაკოვამ („სპარტაკი").

## ...კავგოლოვოში

დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. წარმატებას მიაღწია მოსკოველმა ს. კონდაკოვმა. მან მოიგო პირველი ადგილები 15 და 30-კილომეტრიან დისტანციებზე. „სათხილამურო მარათონში"— 50 კილომეტრზე უძლიერესი იყო სვერდლოვსკელი ა. გუბინი. ძლიერი ქარის მიუხედავად მან აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი—3:10.56,0.

ქალთა შორის 10-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ე. მეკშილომ (ლენინგრადი). ორჭიდში გამარჯვებული გამოვიდა კიროველი სპორტსმენი დ. კოჩკინი.

## ოთხი ტურის შემდეგ

საკავშირო XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატში ოთხი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება. ვ. სმისლოვმა, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა მ. ტაიმანოვთან გადადებულ პარტიაში, გამარჯვება მოიპოვა. სატურნიროო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა ტ. პეტროსიანმაც, რომელმაც დაამარცხა ა. ლუტიკოვი.

[illegible]თულ პოზიციაში იყო შეწყვეტილი ვ. კორჩნოი–ვ. სიმაგინის პარტია, თამაშის განახლებისას მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა სიმაგინის მეორე პარტია ა. ბანიკთანაც. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ე. გელერ–ა. ხასინის შეხვედრაში.

ოთხი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ვ. სმისლოვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი და ოსტატი ა. გუფელდი, თვითეულ მათგანს 3–3 ქულა აქვს.

★

მზიანი ამინდია ბათუმში. სპორტსმენები არ აცდენენ უქმად დღეებს, ვარჯიშობენ და ეჯიბრებიან ერთმანეთს. განსაკუთრებით აქტივობენ მძლეოსნები.

★

## მეტი ყურადღება შრომითი რეზერვების ფიზიკურ აღზრდას

როცა რესპუბლიკაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მისი ყოველმხრივი განვითარება — ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, სასწავლებელსა თუ კოლმეურნეობაში მისი გავრცელების აუცილებლობა. ხშირად ვლაპარაკობთ საკოლმეურნეო, საწარმოო კოლექტივებზე, ვაკრიტიკებთ მათ, მივუთითებთ ნაკლოვანებებზე, ვავლენთ, ვაზოგადოებთ მოწინავეთა გამოცდილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად ვეხებით ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვან ობიექტს — „შრომითი რეზერვების" სისტემაში შემავალ სასწავლებლების კოლექტივების მუშაობას.

შრომითი რეზერვები! თვით ეს სიტყვა ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობისაა ეს ობიექტი. მუშათა კლასი საჭიროებს მაღალკვალიფიცირებულ რეზერვებს, რომელიც მხარში ამოუდგება ელექტროსადგურების, ქარხნების, ფაბრიკების მშენებლებს, ტრანსპორტის მუშაკებს. ეს დიდი და სახელო საქმეა.

სოციალისტური წარმოება მოითხოვს ჯანსაღ თაობას, რომელიც თამამად შეებმება საქმეს, იქნება სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი და თავდაუზოგავად იზრუნებს მისი შემდგომი აყვავებისათვის.

რესპუბლიკაში „შრომითი რეზერვების" სკოლებისა და სასწავლებლების 41 კოლექტივი მოქმედებს. მრავალი ფიზკულტურელი სახელოსნოებში სწავლასა და შრომასთან ერთად იწრთობს სხეულს, იმაღლებს სპორტულ ოსტატობას. დღეს ჩვენ სპეციალურ გვერდს ვუძღვნით თბილისის რკინიგზის სახელოსნო № 1 სასწავლებლის კოლექტივის საქმიანობას. ამ კოლექტივმა სასწავლებლის ხელმძღვანელების დახმარებით უკანასკნელ წლებში გაიმაგრა წელი, გაიზარდა, განმტკიცდა და დავაჟკაცდა. იგი სამართლიანად ითვლება „შრომითი რეზერვების" კოლექტივებში საუკეთესოდ. მაგრამ მარტო იგი როდია მოწინავეთა შორის, მას მხარს უმშვენებენ ინდუსტრიალური ტექნიკუმი, მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი, სურამის, რუსთავის, ბათუმისა და ქუთაისის სპეციალური სახელოსნო სასწავლებლები. ბევრ ჩამოთვლილ სასწავლებლებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს, მათ ხელმძღვანელებს ესმით ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა შრომისა და სწავლის ნაყოფიერების საქმეში. საუწყებო თუ საქალაქო შეჯიბრებებზე ეს კოლექტივები მონოლითური კოლექტივებით გამოდიან და წარმატებასაც აღწევენ. სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვებიც" ძირითადად ამ კოლექტივებიდან აკომპლექტებს თავის ნაკრებ გუნდებს.

მაგრამ, როცა მოწინავე კოლექტივებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სისტემაში შემავალი ბევრი კოლექტივი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოთხოვნებს, ჩამორჩება, არა აქვს ბაზები და, რასაკვირველია, სარაიონო და საუწყებო შეჯიბრებებშიც ბოლო ადგილებს იკავებენ. ეს ეხება ბორჯომის, ჭიათურის, ტყვარჩელისა და ტყიბულის სამთო-სამრეწველო და სამშენებლო სასწავლებლებს.

განსაკუთრებით იგრძნობა ბაზების სიმცირე. ბევრ სასწავლებელს ელემენტარული სავარჯიშო მოედანიც კი არა აქვს. ასეთ მდგომარეობაშია კარგი ტრადიციების მქონე მე-11 სამხატვრო სასწავლებელიც ქ. თბილისში.

სპორტსაზოგადოება „შრ. რეზერვების" სპორტსმენებმა გასულ წელს საკავშირო სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ვილნიუსში IV სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი II ჯგუფში. ამ კომპლექსურ ღონისძიებაში გამარჯვების გარდა მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მოპოვებული თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ფეხბურთში. მაგრამ ეს ცალკეული შედეგები სრულებით არ მეტყველებენ იმაზე, რომ „შრომით რეზერვებში" ყველაფერი რიგზე იყოს. ნაკლოვანებები ჯერ კიდევ მრავლადაა. პირველ რიგში ეს ეხება იმას, რომ ამ საზოგადოებას ერთობ მცირე რაოდენობის სპორტსმენები ჰყავს საქართველოს ნაკრებ გუნდებში, რაც მოწმობს, რომ სპორტული მუშაობა აქ სათანადო სიმაღლეზე არა დგას, რომ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მრავალრიცხოვანი სექციები სათანადო ნაყოფს არ იძლევიან. ბევრი მწვრთნელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება საქმეს.

საზოგადოება „შრ. რეზერვების" უპირველესი ამოცანაა მთელი ყურადღება გადაიტანოს კოლექტივებზე. როცა კოლექტივი მტკიცე და ბრძოლისუნარიანია, თანრიგოსნებიც, მაღალი კლასის სპორტსმენებიც აღიზრდებიან. რასაკვირველია, სასწავლებლის სპეციფიკურობა სპორტსმენებთან ხანგრძლივი მუშაობის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ის დრო, რაც გვაქვს, რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. აქ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ახალგაზრდობის სპორტულ სპეციალობას, რათა შემდეგ, საწარმოში თუ მშენებლობაზე, მათ გააგრძელონ დაოსტატება და მიაღწიონ სასურველს.

საჭიროა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, ისე აქაც, საშეფო მუშაობის გაძლიერება. მსხვილი საწარმოების კოლექტივებმა შეფობა და მზრუნველობა უნდა იკისრონ სახელოსნო სასწავლებლებზე, დაეხმარონ მათ ყოველმხრივ — ბაზების აგება-მოწყობით, ინვენტარის შეძენით, საზოგადოებრივ საწყისებზე მწვრთნელთა მუშაობით და სხვ.

ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადება საერთო საქმეა. ამიტომ სპორტკავშირმა და ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა ერთი წუთითაც არ უნდა შეანელონ მასზე ზრუნვა.

## წოდებათა მინიჭება

სსრკ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ზ. მირიანაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი", ალპინიზმი). ა. კაზანჯიანს (თბილისი, „ბურევესტნიკი", კალათბურთი), ვ. კომაროვს, ი. ხლოპკოვს, გ. სიხარულიძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), გ. მარეხაშვილს, ნ. გირდას (მცხეთა, „განთიადი", ყველა ნიჩბოსნობაში).

* * *

ფიზკულტურის დარგში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის „ფიზკულტურელის წარჩინებულის" ნიშნით დააჯილდოვა მ. ცხვედაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე), ვ. ილურიძე (მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში), ო. კემულარია (ფოთი, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე), ნ. პაშიკოვი (თბილისი, სპორტული მშენებლობის სამმართველოს უფროსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენი ზრუნვის საგანი

ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს აღვზარდოთ მაღალი კვალიფიკაციის მჭედლები, მეავეჯეები, ელმავლის მემანქანის თანაშემწეები... ამ სპეციალობათა ასათვისებლად ყოველწლიურად ვიღებთ შევსებას კასპის, თიანეთის, წითელწყაროსა და სხვა რაიონებიდან. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოდიან ახალგაზრდები, სწავლობენ და შრომობენ, მაგრამ ძირითადი საქმიანობის გარდა არის ახალგაზრდობის დაინტერესების, მათი დარაზმვის კიდევ ერთი საშუალება, რომელსაც როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს — ესაა ფიზკულტურა და სპორტი.

წინა წლებში, როცა ჩვენთან აქტიური დასვენების ეს შესანიშნავი პირობა არასათანადო სიმაღლეზე იდგა, შედარებით დაბალი იყო სასწავლო დისციპლინაც. მართალია არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ბავშვების მიერ სასწავლო პროცესზე დაგვიანების ან გაცდენის ფაქტებს, ახლა კი მსგავსი მოვლენები მთლიანად აღმოიფხვრა. ფიზკულტურამ და სპორტმა იმდენად დააინტერესა ჩვენი აღსაზრდელები, რომ ყველა მათგანი გაერთიანებულია სპორტის რომელიმე სახეობის სექციაში და სწავლებიდან თავისუფალ დროს ორგანიზმის გაკაჟებას ახმარენ.

სასწავლებელში ფიზკულტურული საქმიანობის გარდაქმნაში დიდად დაგვეხმარა ჩვენს ტერიტორიაზე „შრომითი რეზერვების" ცენტრალური სექციების გახსნაც, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო ბაზების კეთილმოწყობა.

საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მალე მწყობრში ჩადგება დახურული აუზიც, რაც კიდევ უფრო შეგვიწყობს ხელს ახალგაზრდობის სპორტული დაოსტატების საქმეში.

**გ. დომენია,**

თბილისის რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი.

კარგი შესაძლებლობანი გაჩნდა თბილისის რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივს — სტადიონი, დარბაზები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მონდომებული ახალგაზრდობა, მაგრამ „შრომითი რეზერვების" თითქმის ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე იმარჯვებდნენ ხოლმე სხვანი. ისინი ვინც ხშირად ჩიოდა ბაზების სიმცირეს.

წარუმატებლობის მიზეზების ძიებაში სასწავლებლის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დახმარებისათვის „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოს მიმართეს. აქ იმ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ რომ,



საჭირო იყო საქმიანი, შრომისმოყვარე ინსტრუქტორის შერჩევა. არჩევანი გივი ყიფიანზე შეჩერდა.

ახალი ინსტრუქტორის სასწავლებელში მოსვლას მოჰყვა მთელი რიგი „რეფორმები". საერთო კრებაზე კომკავშირელები და ფიზკულტურელები გულახდილად ლაპარაკობდნენ წარმატებებსა თუ ნაკლოვანებებზე, საბჭოს ძველი შემადგენლობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს, მოითხოვეს მისი გადახალისება, დასახეს ღონისძიებანი „შრ. რეზერვების" XII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის.

საქმეში ტონის მიმცემი აღმოჩნდა სასწავლებლის დირექტორი გ. დომენია, რომელმაც ფეხბურთის სექციის ზედამხედველობა ივალდებულა. დირექტორს არც სხვები ჩამორჩნენ. სწავლების უფროსი ოსტატი, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ა. შუბითიძე კალათბურთისა და ფრენბურთის ჯგუფებს ჩაუდგა სათავეში, სწავლების ოსტატმა გ. ნიკოლაიშვილმა მაგიდის ჩოგბურთს მოჰკიდა ხელი, ხოლო ჭადრაკსა და შაშს — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა გ. ყართმაზოვმა.

მალე სასწავლებლის დერეფნებში გაჩნდა ფოტოსტენდი, სასწავლებლის, საზოგადოების, რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდების ცხრილები, კედლის გაზეთი, სათანრიგო ნორმატივები, ცხრილები და ა. შ.

სასწავლებელში თანდათან გაიშალა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა და იმდენად ამაღლდა სპორტსმენთა მაჩვენებლები, რომ უმეტესობას უკვე ველარ აკმაყოფილებდა საზოგადოებრივ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით ადგილობრივ სექციებში მეცადინეობა, საჭირო გახდა უფრო კვალიფიციური მუშაკების გამოძებნა, გარდა ამისა სასწავლებლის პერსპექტივიანი ახალგაზრდები საზოგადოების ცენტრალურ სექციებში გაერთიანდნენ.

ახალი მუშაობის ნაყოფი უკვე XII სპარტაკიადაზე მოიმკეს — საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ისინი უკვე უძლიერესებად აღიარეს რესპუბლიკის 41 ფიზკულტურულ კოლექტივს შორის. „შრ. რეზერვების" სპარტაკიადაზე პირველი ადგილის მოპოვება მათი პირველი სერიოზული გამარჯვება იყო. აქაურმა ფიზკულტურელებმა გაიმარჯვეს ფეხბურთში, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ველოსპორტში, ქართულ ჭიდაობასა და ნიჩბოსნობაში. პირად ჩათვლაში შვიდმა სპორტსმენმა მოიპოვა რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა და 26 სპორტსმენი შეყვანილი იქნა ნაკრებში, რომელსაც საქართველოს სპორტული ღირსება უნდა დაეცვა „შრომითი რეზერვების" VI საკავშირო სპარტაკიადაზე, ვილნიუსში.

მშობლიური სასწავლებელი განსაკუთრებით მოჭიდავეებმა ასახელეს საკავშირო ასპარეზზე. რ. მჭედლიშვილმა, კ. სევასტოვმა, ო. ბლიაძემ, ნ. ფილიშვილმა და ო. მელაშვილმა მოიპოვეს ჩემპიონობა, ამასთან, უკანასკნელმა ოსტატის წოდებისათვის საჭირო ქულებიც დააგროვა.

ამ პატარა კოლექტივში ერთი წლის განმავლობაში ოსტატის გარდა 20-მა სპორტსმენმა შეასრულა პირველი თანრიგის შედეგი, ხოლო 60-მა — მეორე თანრიგისა. ახლა მთლიანი კონტინგენტის 75 პროცენტი თანრიგოსანია.

ყველა მიღწევათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ განსაკუთრებული აღსანიშნავი ისაა ის, რომ ცენტრალური საბჭოს მიერ გამოცხადებულ ფიზკულტურული კოლექტივების კონკურსის დათვალიერებაში სპეციალურმა კომისიამ ადგილზე შემოწმების შემდეგ შეაჯამა მასალები და აღმოჩნდა, რომ თბილისის რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის ფიზკულტურულ კოლექტივში ყველაზე უკეთესად ყოფილა დაყენებული მასობრივ-ფიზკულტურული და აღმზრდელობითი მუშაობა, სპორტის პროპაგანდის, გეგმების შესრულების საქმე, რისთვისაც კოლექტივი დაჯილდოვდა საკავშირო კომკავშირისა და „შრ. რეზერვების" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი პრიზითა და საკავშირო სპორტკავშირის სიგელით.

იმედია, რომ ამ სასწავლებელში ყველაფერს გააკეთებენ არა მარტო მიღწეულის შესანარჩუნებლად, არამედ ახალი წარმატებების მოპოვებისათვის, ყველაფერს გააკეთებენ, რათა მეტი მაღალკვალიფიციური მუშა და მაღალი თანრიგის სპორტსმენი მოუმზადონ რესპუბლიკას.

**ო. გელაშვილი**



## გავუმახვილებთ ყურადღებას შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებზე

სწავლების ხანმოკლე პერიო-
დი — ორი წელი — საგრძნობლა[...]
ართულებს პერსპექტივიანი, სპორ-
ტის მოყვარული ახალგაზრდობი[...]
შერჩევას. ამ ამოცანის გადაწყვე-
ტა ფიზკულტურული ორგანიზა-
ციის, დირექციისა და თვით აღსა-
ზრდელთა შეთანხმებულ, მონდო-
მებულ მუშაობას მოითხოვს.

სწავლისა და წვრთნის სწორ[...]
ორგანიზაციის საშუალებით უკ[...]
გასულ წელს მივაღწიეთ სასურ-
ველს და კურსდამთავრებულთაგ[...]
არავინ ყოფილა, რომელსაც თა[...]
რიგი ან უკიდურეს შემთხვევაშ[...]
მში სამკერდე ნიშანი მაინც ა[...]
ჰქონოდეს მოპოვებული. ჯგუფებ[...]
სა და ცალკეულ აღსაზრდელთ[...]
შორის გაშლილმა შეჯიბრებამ დ[...]
მისი შესრულების რეგულარულ[...]
შემოწმებამ უზრუნველჰყო დასა-
ხული მიზნის მიღწევა.

რაკი ჩვენი ვარაუდები პრაქტი-
კამ გაამართლა, სასწავლებელ[...]
ამას წინათ ჩატარებულმა ფიზ-
კულტურელთა საერთო კრებამ გა-
დაწყვიტა, არ დაკმაყოფილდეს მი-
ღწეულით და წელსაც ვიბრძოლო[...]
როგორც სპორტულ, ისე ფიზ-
კულტურულ-მასობრივი მუშაობ[...]
საუკეთესოდ დაყენებისათვის, რა[...]
თავისთავად უზრუნველყოფს კო-
ლექტივის საერთო წარმატებებ[...]
მიმდინარე წლის სპორტღონისძი-
ებათა კალენდარში შევიტანეთ მე[...]
ტი შიდასაკოლექტივო და სამატ[...]
ჩო შეხვედრები, ვიდრე შარშა[...]
უფრო ხშირად მოვაწყობთ საზო-
გადოებრივი კადრების მოსამზად[...]
ბელ სემინარებს, საკუთარი ძალ[...]
ბით შევაკეთებთ სპორტულ ბა-
ზებს. ერთი სიტყვით ყველაფერ[...]
გავაკეთებთ მოპოვებული პოზი-
ციების განმტკიცებისა და შემდგო-
მი წინსვლისათვის.

**გ. ყიფიანი**

ფიზკულტურის ინსტრუქტორი

**სურათებზე:** ზევით — ფიზ-
კულტურის ინსტრუქტორი გ. ყი-
ფიანი (შუაში) აღსაზრდელებს ეს[...]
უბრება წვრთნის დაწყების წ[...]
მეორე სურათი გადაღებულია სა[...]
ჭედლო სამქროში. პნევმატ[...]
უროზე მუშაობენ II თანრიგოსნე-
ბი კლასიკურ ჭიდაობაში ო. პ[...]
საშვილი (მარჯვნივ) და ს. ფილ[...]
შვილი. ქვევით — სასწავლებლ[...]
სპორტსმენები, მარცხნიდან — [...]
ღლენტი, ა. ლეიაშვილი და ო. გ[...]
ზავა ეცნობიან ჩარხს.



ლელო

მე-2 გვ. № 9 (1645)

## საკავშირო ადგილი დაიმსახურეს

მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა ფარიკაობაში მოზარდთა შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთისა და საქართველოს მოფარიკავეები.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენები. რაპირისტთა ტურნირის ფინალში (ჭაბუკთა შორის) მათ დაამარცხეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის ნაკრები კოლექტივები და მეორე ადგილი დაისაკუთრეს. ჭაბუკების მიღწევა გაიმეორეს ჩვენმა გოგონებმაც და დაიკავეს მეორე ადგილი.

ესპადრონისტთა შეჯიბრებაში ჩვენი გუნდი მეოთხე ადგილზე იყო, ხოლო დაშნით ბრძოლაში — მეორეზე. კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს „სპარტაკის“ წარმომადგენლებმა დააგროვეს 10 ქულა და მოიპოვეს პირველი ადგილი (მწვრთნელი ვ. ქორიაშვილი).

კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩვენმა მოფარიკავეებმა პირად ჩათვლაშიც. რაპირისტ გოგონებში ყველას აჯობა ქუთაისელმა მ. სვანიძემ. იგი გახდა საზოგადოების ჩემპიონი. ესპადრონით ბრძოლაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელი გ. ლორთქიფანიძე. საზოგადოების ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში გახდა თბილისელი თ. შარაშენიძე.

ნ. როგაქიძე

## საქართველოს პირველობისა და „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნახევარფინალები

✦

### სტალინირი

უკვე მეორე კვირაა სტალინირში მიმდინარეობს საქართველოს საჭადრაკო პირველობის ერთ-ერთი ნახევარფინალი. ტურნირში მონაწილეობს 14 მოჭადრაკე.

ტურნირის სტარტზევე ლიდერობისათვის ბრძოლა გაჩაღდა ოსტატობის კანდიდატებისა და ქუთაისის ჩემპიონის ა. რაზოვსკის შორის. სამი ტურის შემდეგ თვითეულ ლიდერს 3 ქულა ჰქონდა. მეოთხე ტურში ა. ბრეიტმანმა შეძლო ა. რაზოვსკის დამარცხება, მაგრამ მეექვსე ტურში თვითონ დამარცხდა თ. გიორგაძესთან.

სტალინირის სპორტული საზოგადოებრიობა ინტერესით ესწრება ნახევარფინალს, რომელიც პედინსტიტუტის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს. ადგილობრივმა გაზეთებმა „სოვეთონ ირისთონმა“, „საბჭოთა ოსეთმა“ და სამხრეთოსეთის სპორტკავშირმა დააწესეს სამი სპეციალური პრიზი პირველთანრიგოსანთა შორის საუკეთესო შედეგისათვის, ყველაზე მეტი მოგებისა და ლამაზი პარტიისათვის.

უკვე გათამაშებულია 9 ტური, ყველა პარტიის მოგებით ლიდერია თ. გიორგაძე, ბრეიტმანს აქვს 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მესამეზეა გასიევი—6 ქულა (ერთი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია).

✦

### გურჯაანი

გურჯაანის ნახევარფინალურ ტურნირში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძვის 14 მოჭადრაკე, თამაში წარმატებით დაიწყო თბილისელმა რ. შეინცვიტმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ა. გაგუა (თბილისი), ბ. ჭარელიშვილი (რუსთავი), გ. სერჟანოვი (ქუთაისი) და სხვები. იგი 8 ტურის შემდეგ 6.5 ქულით ლიდერობს შეჯიბრებას. მას 0,5 ქულით ჩამორჩება ქუთაისელი გ. სერჟანოვი. III-IV ადგილებს იყოფენ სიღნაღელი მოჭადრაკე ვ. მეტრეველი და გურჯაანელი ვ. ჯაჯანაშვილი, თვითეულს მოგროვილი აქვს 4,5 ქულა.

## ლიდერობს ბ. გურგენიძე

კალუგაში გრძელდება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნახევარფინალური საჭადრაკო ტურნირი. აქ გამარჯვებისათვის იბრძვის 16 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოსტატები ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი.

ტურნირზე უკვე გათამაშდა ოთხი ტური, რის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს ბ. გურგენიძე, რომელსაც 3 ქულა და ერთი საყაიმო პოზიციაში გადადებული პარტია აქვს ოსტატ გ. ბასტრიკოვთან. ბუსლაევს აქვს 2,5 ქულა. მან ერთი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა.

# ჭიდაობა



ამრიგად, პროგნოზები გამართლდა! მთლიანად გამართლდა აბსოლუტური პირველობის პირველი დღის პირველი შთაბეჭდილებანაც; პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მოჭიდავეებმა, რომლებიც ჩემპიონატის ფავორიტებად იყვნენ აღიარებულნი — ანზორ კიკნაძემ (თბილისი), დურმიშხან ბერუაშვილმა (გორი) და ამირან ვარდოშვილმა (კასპი). მეოთხე ადგილი წილად ხვდა გორელ მოჭიდავეს ბ. ბალაკაშვილს, რომელსაც, ამავე დროს, გადაეცა სპეციალური პრიზი — „საუკეთესო ტექნიკისათვის“. ფინალში ამ ოთხი მოჭიდავის გარდა უნდა გასულიყვნენ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავეები—ა. ქიბროწაშვილი და ნ. ყაჩმაზაშვილი. ეს რომ მომხდარიყო, ამ აბსოლუტური პირველობის ფინალი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა 1959 წლის ფინალს, სადაც არ იყო არცერთი უინტერესო შეხვედრა და სადაც ყოველ ორთაბრძოლაში მოსალოდნელი იყო ყოველნაირი შედეგი. მაგრამ, ამჯერად მოხდა ისე, რომ ქიბროწაშვილმა — ავადმყოფობის გამო, ხოლო ყაჩმაზაშვილმა — ფიცხელაურთან შეხვედრისას მიღებული ტრავმის გამო ვერ შეძლეს ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და თავიანთი ადგილები დაუთმეს საგარეჯოელ ხუროშვილსა და თბილისელ ფიცხელაურს. ამ ახალგაზრდა და ჯერ გამოუცდელი მოჭიდავეების მონაწილეობამ ფინალში კი მნიშვნელოვნად შეასუსტა შთაბეჭდილება, რომელიც მაყურებლებმა მიიღეს აბსოლუტური ფალავნის წოდებისათვის ბრძოლისაგან.

მოხდა ისე, რომ ფინალის ერთი გადამწყვეტი, ცენტრალური შეხვედრა წინა ჩემპიონატის ფალავანსა და საქართველოს ოთხგზის ჩემპიონს ქვემძიმე წონაში — დ. ბერუაშვილს შორის კენჭისყრამ პირველივე წრეში მოახვედრა. ეს შერკინება გაიმართა დღის საათებში და მრავალრიცხოვან მაყურებლებს, რომლებმაც სახელმწიფო ცირკის მთელი შენობა გაავსეს საღამოთი, საშუალება არ მიეცათ ენახათ საინტერესო შეხვედრა. იგი დაიწყო ბერუაშვილის შეტევით, მაგრამ მისი წამოწყებული ფანდი დროზე ჩაკეტა კიკნაძემ, იმავე წამს განახორციელა კონტრილეთი და მოიპოვა ქულა. მსგავსი რამ, ოღონდ უფრო „მცირე მასშტაბით“ უფრო ნაკლები სიმკვეთრით გამეორდა კიდევ ერთხელ და კიკნაძემ უკვე უზრუნველყო თავისთვის უპირატესობა. ამის შემდეგ მან ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, აქტიური ჭიდაობის საშუალება მოუსპო მოწინააღმდეგეს და შეხვედრის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

სამაგიეროდ, ცირკში საღამოს მოსულმა მაყურებლებმა იხილეს ამ ჩემპიონატის საუკეთესო შეხვედრა! ეს იყო კიკნაძისა და ვარდოშვილის შერკინება, რომელიც თავიდან ბოლომდე ცოცხალ და დრამატულ ხანაზოლობას წარმოადგენდა. გასული ჩემპიონატების ფალავნებმა აქ მთელი თავიანთი ოსტატობა გამოავლინეს. აქ იყო მძიმე წონის, ასკილოგრამიანი მოჭიდავეების სხარტი შემოტრიალებები ჰაერში წმინდა დამარცხების თავიდან ასაცილებლად, ელვისებური მოგვერდები, ყოველ წამში ორივე მხრის დაუცხრომელი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ამ შეტევებმა პირველად ა. კიკნაძეს მოუტანეს უპირატესობა: მან მეტოქის ერთქულიანი გდება განახორციელა. შემდეგ დაწინაურდა ვარდოშვილი, რომელმაც შესანიშნავად შესრულებული მოგვერდით ორი ქულა მოიპოვა. მაგრამ არ გასულა წუთიც, რომ კიკნაძემ ასეთივე შესანიშნავი ილეთით გაქვითა ეს ორი ქულა და დარჩენილი უპირატესობაც ბოლომდე შეინარჩუნა.

ფინალის სხვა შეხვედრათაგან აღსანიშნავია პრიზიორთა—დ. ბერუაშვილისა და ა. ვარდოშვილის ორთაბრძოლა, რომელიც სანახაობრივად ასე მდიდარი არ იყო, მაგრამ მეტად დაძაბულ ხასიათს ატარებდა. მძაფრ შერკინებაში ბერუაშვილმა შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და აქტიურობის მეოხებით მოიგო შეხვედრა, მასთან ერთად — მეორე ადგილიც.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რამდენიმე საკითხს, რომლებიც ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით წამოიჭრა. თავდაპირველად უნდა ვილაპარაკოთ ისევ ქართული ჭიდაობის ყველაზე უფრო მავნე სენის—პასიურობისა და მასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მეტად სუსტად წარმოებს მსაჯების მხრივ. ისევე როგორც ადრე, ამ ჩემპიონატშიც ბევრჯერ იჩინა თავი აქტიური ჭიდაობისაგან თავის არიდების, ლეიბიდან გაქცევისა და ძალისმიერი ხერხებით სარბიელიდან მეტოქის გაყვანის მახინჯმა ფაქტებმა. სავალალო ის არის, რომ სამივე ამ შემთხვევაში, როცა მსაჯობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას, იჩაგრება არა სუსტი (ან პასიური) მოჭიდავე), არამედ მასზე უფრო ძლიერი (ან აქტიური) მოწინააღმდეგე; მას ფაქტიურად ორმაგი „სამუშაოს“ ჩატარება უხდება: ერთი— როგორმე მიწვდეს გაჩანჩულ მეტოქეს, ლეიბზე დააკავოს იგი, გაქცევის, ან მიწოლის საშუალება არ მისცეს და მეორე — ყოველივე ამასთან ერთად, თვითონაც იჭიდაოს, განახორციელოს ფანდები. თუ მით უმეტეს, ასეთ დროს მსაჯის სასტვენიც დუმს, ხშირად ხდება ისე, რომ გამარჯვებული გამოდის ულირსი მხარე, რადგან საყოველთაოდ ცნობილია: შეტევაზე წამოსულ მოწინააღმდეგეს უფრო გამოუძებნი სუსტ, დაუცველ ადგილს. ასე მოხდა, მაგალითად, ზითანიშვილისა და ფიცხელაურის შეხვედრაში. ფიცხელაური კარგი მონაცემების მქონე მოჭიდავეა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ის იშვიათად თუ გამოსულა შემტევის როლში, რაც დიდი ნაკლია.

ქართული ჭიდაობის არსებული წესების მიხედვით პასიურ მოჭიდავეს უნდა მიეცეს გაფრთხილება, ხოლო თუ ის ტაქტიკას არ შეცვლის — დამარცხება, რატომღაც პრაქტიკაში ისე დადგინდა, რომ ამ გაფრთხილებას არ აძლევენ, სანამ სამი ან ოთხი წუთი გავა. შემდეგ კი მეორე გაფრთხილებისათვის დროც აღარ რჩება. ეს მსაჯების ლიბერალიზმია, რომელიც ქართული ჭიდაობის გადაგვარებას უწყობს ხელს. პასიურობა ქართულ ჭიდაობაში პირველ წუთშიც კი აშკარად იჩენს თავს და საჭირო არ არის შემჩნეულ მოჭიდავეს კიდევ ორ-სამ წუთს ვაძლევდეთ მოწინააღმდეგისა და მაყურებლის ტანჯვის უფლებას. როცა მოისპობა ეს ლიბერალიზმი და ყველა მოჭიდავე პრაქტიკულად (და არა თეორიულად) დარწმუნდება, რომ პასიურობისათვის უკვე მესამე და მეოთხე წუთზე აძლევენ დამარცხებას, მაშინ ქართული ჭიდაობაც აღიდგენს თავის ადრინდელ, შემტევ ხასიათს. ამ მხრივ პასუხისმგებლობა მთლიანად მსაჯობაზეა!

მთლიანად ასეთი მსაჯობის კისერზეა აგრეთვე ისეთი ფაქტებიც, როცა სრულიად უშედეგო, უინტერესო და ორმხრივად პასიური ჭიდაობის შემდეგ რაღაც ფანტასტიკური მონაცემების საფუძველზე ითხზვება ერთ-ერთი მხარის უპირატესობა. ასე მოხდა ამ ჩემპიონატშიც, მაგალითად, ბალაკაშვილისა და სულაშვილის შეხვედრაში. აქ ფაქტიურად გამარჯვებული არ გამოვლენილა არავითარი მონაცემით: ორივე ერთნაირად ფრთხილობდა, შიშობდა და გაურბოდა აქტიურ ბრძოლას. არ გაკეთებულა არცერთი ფანდი და მაინც „ფანტაზიური“ გამარჯვება მიეკუთვნა ბალაკაშვილს. რატომ? იმიტომ, რომ მსაჯებმა დროულად არ მისცეს ორივეს გაფრთხილება, მეტიც — დამარცხება! ვინ დაზარალდა ასეთი ლიბერალიზმით?.. სულაშვილი?.. — ეს კიდევ უმნიშვნელო „ზარალია“ და თვით მასაც მიუძღვის ბრალი. მაყურებელი?.. დავუშვათ, ესეც არ არის გადამწყვეტი.

თვით ქართული ჭიდაობა! მისი ბუნება! — ესაა მთავარი!

შ. ჯულელი





* * *

სურათებზე: ზევით — საქართველოს ფალავანი ა. კიკნაძე. ქვევით — ჭიდაობის მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ხ უ თ ზ ო ნ ა შ ი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველობის დასაწყისი ეტაპი — შეჯიბრება ზონებში, გადამწყვეტ ფაზაში შედის. ამ ეტაპის გამარჯვებული 9 გუნდი (2-2 ოთხი ზონიდან და დასავლეთ ბერლინის ჩემპიონი) ერთმანეთს შეეჯიბრება ჩემპიონის გამოსავლინებლად.

ჩრდილოეთის ჯგუფში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია შარშანდელმა ჩემპიონმა — „ჰამბურგერ შპორტ ფერაინმა“, რომელმაც მოიგო 13 მატჩი და მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ. ბრძოლა მეორე ადგილისათვის ძირითადად „ჰანოვერ 96“ და „ვერდერს“ შორის მიმდინარეობს.

დასავლეთის ზონაში საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა. აქ 3 ქულის განსხვავებით ერთმანეთის გვერდით განლაგდა 8 (!) გუნდი და თვითეული მათგანი ინარჩუნებს ფინალში გასვლის შესაძლებლობას. მათ რიცხვში არიან ყოფილი ჩემპიონები „ვესტფალია“, „ბორუსია“ და „შალკე 04“.

სამხრეთის ზონაში დაწინაურდა „ფკ ნიურნბერგი“, რომელიც 4 ქულით უსწრებს „კიკერსს“. ფინალში გასვლისათვის იბრძვიან „კარლსრუე“ და „აინტრაჰტი“.

სამხრეთ-დასავლეთის ზონაში ლიდერობს თასის მფლობელი „ბორუსია“, რომელსაც კვალდაკვალ მისდევენ „პირმანზენსი“, „საარბრიუკენი“ და „კაიზერლაუტერნი“.

დასავლეთ ბერლინის ზონაში პირველი ადგილი გარანტირებული აქვს „ჰერტას“.



შესანიშნავი ამინდი დგას შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთში. ამ მზიან ამინდებს კარგად იყენებენ აქაური ფეხბურთელები და წვრთნის გარდა ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებსაც.

ამას წინათ სოხუმში სტუმრად იყო თბილისის სკოლა-ინტერნატის გუნდი, რომელიც შეხვდა აფხაზეთის ჭაბუკ ფეხბურთელებს. მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

# გაკეთდება 1961 წელს

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება აბაშის რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ბაზების კეთილმოწყობისათვის. დაიწყო დაბის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია, მოეწყობა გასახდელები, ტრიბუნები და სხვ. დოსააფის რაიონულმა ორგანიზაციამ სტადიონის ეზოში ააშენა 50-მეტრიანი სასროლი ტირი.

მექანიკური ქარხნის ფიზკულტურელები მიიღებენ ფეხბურთის ახალ სტადიონს სარბენი ბილიკებით, გაკეთდება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. გათვალისწინებულია აგრეთვე სპორტული დარბაზის მშენებლობა. ადგილობრივი მეურნეობის კომბინატსა და აბაშისპირის შვიდწლიან სკოლაში მოეწყობა კალათბურთის ახალი მოედნები, 1-ლ საშუალო სკოლაში აიგება სპორტული დარბაზი.

მ. ჩაჩავა

# ფ ა ლ ს ი ფ ი კ ა ტ ო რ ე ბ ი

იშვიათი მოვლენა როდია სპორტული ფაქტების ფალსიფიცირება დასავლეთელი ჟურნალისტების მიერ, მაგრამ მსგავსი, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლის დამლევს აქ არ ახსოვთ. ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სპორტსმა“, გამოაქვეყნა „მსოფლიოს ათი საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელის სია ყველა დროის მიხედვით“, მაგრამ ისეთი დამახინჯებით, რომ პირდაპირ წარმოუდგენელია მის ავტორს რაიმე ცოდნა ჰქონდეს მძლეოსნობის ამ სახეობის შესახებ. იგი შეგნებულად აყალბებს იმ ფაქტებს, რომლებმაც თავის დროზე მსოფლიო აალაპარაკეს და ხანგრძლივი დავის საგანსაც კი წარმოადგენდნენ.

„უორლდ სპორტსის“ მიერ გამოქვეყნებულ „სიაში“ განსაკუთრებით უგულებელყოფილია 1957 წელს საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელების ვ. სიტკინის, ი. კაშკაროვისა და ი. სტეპანოვის მაჩვენებლები, მით უმეტეს, რომ ი. სტეპანოვის მსოფლიო რეკორდი 2.16,3 სმ მხოლოდ კარგახნის დავის შემდეგ იქნა აღიარებული. იქნებ ინგლისელი ფალსიფიკატორები სტეპანოვის შედეგის მიუღებლობას სწორედ ამ გარემოებით ხსნიდნენ, მაგრამ რა დააშავეს ვ. სიტკინის მიერ დაძლეულმა სიმაღლემ 215 სმ და კაშკაროვის 214 სმ. ერთი ფაქტია: ისინი შეეცადნენ თავისებური ხარკი გადაეხადათ ამერიკელებისათვის, რომლებიც სიის სწორად შედგენის შემთხვევაში საგრძნობლად ზარალდებიან და ათეულში მხოლოდ სამ ადგილს იღებენ საბჭოთა კავშირის 6-ის წინააღმდეგ. მაგრამ უკანასკნელი სამი წლის სინამდვილეც ხომ სიმაღლეზე საბჭოთა მხტომელების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამერიკელებთან გამართულ სამ მატჩში მძლეოსნობის ამ სახეობაში უპირატესობა სამჯერვე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მხარესაა. 1958 წელს მოსკოვში პირველი ორი ადგილი ი. სტეპანოვმა (212 სმ) და ი. კაშკაროვმა (203 სმ) მოიპოვეს და უკან ჩამოიტოვეს ჩ. დიუმასი და პ. შტუბერი (მაშინ ორივემ დაძლია 203 სმ), შემდეგ წელს, საპასუხო მატჩში, რომელიც ფილადელფიაში მოეწყო, ოთხივე სპორტსმენმა ერთნაირი შედეგი — 206 სმ აჩვენა, მაგრამ ცდების მიხედვით უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენს რ. შავლაყაძეს დარჩა.

ამერიკელთა იმედი დაიმსხვრა რომის ოლიმპიადაზეც. როგორც ცნობილია, ოქროსა და ვერცხლის მედლები საბჭოთა სპორტსმენებმა რ. შავლაყაძემ და ვ. ბრუმელმა მოიპოვეს (216 სმ-ს დაძლევით), მაშინ როცა ჯ. თომასი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა და მხოლოდ ნაკლები ცდათა საშუალებით გაასწრო მეოთხე ადგილზე გამოსულ ვ. ბოლშოვს.

ერთი სიტყვით, ფაქტები კომენტარებს, დიდ გამოკვლევასა და დალაგებას არ საჭიროებს და ალბათ უფრო მოიგებდა „უორლდ სპორტსი“ თუ „ათი საუკეთესოს“ სიას ისე გამოაქვეყნებდა, როგორც ეს სინამდვილეშია: ჯ. თომასი (აშშ)—2 მ 22,9 სმ აჩვენა 1960 წ. ვ. ბრუმელი (საბჭოთა კავშირი) — 2 მ 20,3 სმ აჩვენა 1960 წ. ი. სტეპანოვი (საბჭოთა კავშირი) — 2 მ 16,3 სმ აჩვენა 1957 წელს, რ. შავლაყაძე (საბჭოთა კავშირი) — 2 მ 16 სმ აჩვენა 1960 წელს, ვ. ბოლშოვი (საბჭოთა კავშირი) — 2 მ 15,3 სმ აჩვენა 1960 წელს, ვ. სიტკინი (საბჭოთა კავშირი — 2 მ 15 სმ აჩვენა 1957 წელს, ჩ. დიუმასი (აშშ) — 2 მ 14,9 სმ აჩვენა 1956 წელს, ი. კაშკაროვი (საბჭოთა კავშირი) — 2 მ 14 სმ აჩვენა 1957 წელს, დ. ფაუსტი (აშშ) 2 მ 13,4 სმ აჩვენა 1960 წელს და ს. პეტერსონი (შვეცია) 2 მ 13 სმ აჩვენა 1960 წელს.

# მოტოკროსი თოვლზე

რუბლევოს მიდამოებში მოეწყო მოტოკროსი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის პრიზზე. მთავარი ჯილდო მოიგეს ცსკა-ს მოტოციკლისტებმა.

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება 350 კბ სმ კლასის მოტოციკლებით. არმიელთა შემადგენლობაში იყვნენ ვ. პილიევი, ნ. სევოსტიანოვი, ნ. სოკოლოვი და ბ. ივანოვი. ისინი დიდხანს ლიდერობდნენ რბოლას, მაგრამ ნ. სოკოლოვს დაუზიანდა მანქანა, რამაც „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებს პირველი ადგილის აღების საშუალება მისცა. ცსკა-ს მოტოციკლისტები ამ სახეობაში მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ.

ეტლიანი მანქანებით რბოლაში გაიმარჯვეს დოსააფის მოსკოვის საქალაქო ავტომოტოკლუბის წარმომადგენლებმა. არმიელები მეორე ადგილზე დარჩნენ.

* * *

სურათზე: რბოლის მონაწილენი დისტანციაზე.



## უცხოეთში

**ვარშავა.** პოლონეთისა და იტალიის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 60:54.

**პოზნანი.** ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა ჩაატარეს ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „ლეგიის“ გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

**ჰავანა.** მსოფლიო ჩემპიონმა კრივში პროფესიონალთა შორის კუბელმა ბენი პარტმა (ქვესაშუალო წონა) შეინარჩუნა მსოფლიო თავისი ტიტული. მან ნიუ-იორკში 15-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა არგენტინელი ფრედერიკო ტომპსონი.

**ჰელსინკი.** ფინელმა ძალოსანმა რეინო სუომინენმა (ქვემძიმე წონა) სცადა თავისი ძალები მძიმე წონაში და დაამყარა ფინეთის ახალი რეკორდი სამჭიდში — 447,5 კგ.

**კუოვოლა.** ფინეთის ჩემპიონის წოდება ტანვარჯიშში მოიპოვა ჰეინონენმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ოლკონენმა, კესტოლამ და ეკმანმა.

**სიდნეი.** აქ გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელზეც ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაღალი შედეგები: 220 იარდზე რბენა მოიგო ჰოლდსვერტმა — 21,3, 220 იარდზე თარჯრბენი — ფრინსმა — 23,5. ერთ მილზე რბენა — პაუერმა — 4.13,2. შუბის ტყორცნა — ლესეიმ — 71,62 მ, სამხტომი — ბოაზმა — 15, 42 მ.

**ტოკიო.** გაიმართა მოციგურეთა შეჯიბრება. პირველი ადგილები მოიპოვეს: 500 მეტრზე — ნაგაკუბამ — 41,5; 5000 მეტრზე კობაიასმა—8.30.3; 1000 მეტრზე — ტაკამიავამ — 1.40,0.

## სხვათა შორის

### მეთერთმეტე

პარიზის ერთ-ერთი სამშობიაროს მიხაღებ ოთახში იჯდა ხანდაზმული მამაკაცი შემოხვეული ათი შავგვრემანი ბიჭით. მამაკაცს დაწუნარებული შეხედულება ჰქონდა, ხოლო ბიჭები ხმაურობდნენ, ნერვიულობდნენ, დავობდნენ და ხშირად გარბოდნენ დერეფნის ბოლოს.

სამშობიარო სახლის ერთ-ერთი თანამშრომელი მამაკაცს შეეკითხა, თუ რაში იყო საქმე, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბიჭი დაიბადება, თუ გოგო, მაგრამ ჩემს შვილებს უნდათ კიდევ ერთი ბიჭი, რათა შეადგინონ ფეხბურთის სრული გუნდი.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ინსტიტუტის თანამშრომლის მ. ჯ. აზატიანის მამის, ძველი ფეხბურთელისა და ტანმოვარჯიშის

ჯემს არტემის-ძე აზატიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03816